გაზეთი ღირს

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1893 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1893



## საურთიერთო დაზღვევის საზოგადოება ჭირნახულისა სეტყვისაგან

საზოგადოების მმართველობა პატივისცემით აუწყებს **ვენახებისა, ხეხილიანის ბაღებისა, თამბაქოსა, სვიისა,** და **ბამბის** ნათესობის პატრონთ, რომ საზოგადოებასთან არსდება **ცალკე განყოფილება** ყოველ ზემოხსენებულის **სეტყვისაგან დაზღვევისათვის.** ვისაც სურს ჩაეწეროს საზოგადოების წევრად, რათა აღნიშნულ ქონების, დაზღვევის ნება ჰქონდეს სეტყვისაგან უნდა მიჰმართოს საზოგადოების საგენტოს, რომელიც იმყოფება ვერიამინოვის ქუჩაზედ და ღიაა დილის 9-დამ ნაშუადღევის 2 საათამდე.

(50—4) წარმომადგენელი კავკასიისათვის დ. ქ. თუთაევი

## რედაქციისაგან

შეიძლება დაკვეთა გაზეთისა 1 აპრილიდამ წლის დამლევამდე, ფასი 8 მან. მსურველთ შეუძლიანთ ეს ფული ნაწილ-ნაწილადაც შემოიტანონ.

მესამე წარმოდგენა
ევ. ს. მესხის და კოცე მესხის
მონაწილეობით
ქართული თეატრი
კვირას, 14 მარტს,
**მ. მ. საფაროვის გამგეობით**
ქართულ თეატრის არტისტებისაგან
წარმოდგენილ იქნება
პირველად ახალი პიესა

## დალილა

დრამა 4 მოქ. თხზ. ა. დიუმასი.
დასასრულ
ნება მიბოძეთ, ბატონო!
კომედია 2 მოქ. ი. კერესელიძისა.
ბ-ნ ვ. აბაშიძის მონაწილეობით
რეჟისორი ვ. აბაშიძე
ადგილების ფასი საოპერეტოა.
დასაწყისი სწორედ 8 საათზედ
**ანონსი**: მზადდება შემდეგი პიესები: ორი ობოლი, სკვილიელი დალაქი და სხვა.

დაიბეჭდა და გაიგზავნა გასასყიდად სხვა-და-სხვა ქალაქებსა და დაბებში
**ლექსები სილოვანისა**
ფასი ათი შაური.
(6—3)


ტფილისი, 11 მარტი

ბოდიშს ვიხდი მკითხველთან, რომ ცოტა ხნით თავი უნდა დავანებო პირდაპირს საგანს ჩვენის ქალაქის თვითმართველობისას და მივაქციო მისი ყურადღება ერთის ზოგად საკითხის გამორკვევას. ეს ზოგადი საკითხი გახლავთ: როგორი ურთიერთობა უნდა ჰსუფევდეს კანონმდებელსა და აღმასრულებელ ორგანოთა შორის და რა უფრო სასურველია—ისა, რომ ხსენებულნი ორგანონი თანხმობით იყვნენ გამსჭვალულნი, ერთსა და იმავ საგანს ესწრაფებოდნენ, თუ ისა, რომ ერთი ორგანო მოსისხლე მტრად იყოს ჩამოსეული მეორეზედ, ურთიერთს უთხრიდნენ სამარეს და სეირს უყურებდნენ, აცა რომელი მათგანი უფრო ადრე დაეცემა პირქვე, და ჰსუფევდეს მათ შორის დაუსრულებელი უთანხმოება, შფოთი და ვაი-ვაგლახი?

ეს საკითხი წარამარად არ დაგვიხვდა გზაში, რომელსაც ჩვენ დავადექით, რათა გამოგვერკვია დღევანდელი განწყობილობა ჩვენის თვით-მმართველობის ორგანოთა შორის, ე. ი. საბჭოსა და გამგეობას შორის. ერთს ჩემ წერილში მოკლედ მოვიხსენიე ისტორიული თავგადასავალი ტფილისის საბჭოსი და ვსთქვი, რომ ა. ს. მატინოვის მოურაობა უფრო ხანგრძლივი და ამის გამო უფრო ნაყოფიერი გამოდგა, რაკი ამ მოურავს მხარში ედგნენ თვალ-საჩინო კაცნი გამგეობის წევრებად და ხმოსნებად; „რომ საქმე ერთობ მწყობრად და მარჯვედ მიდიოდა, თუმცა შეცდომა, როგორც ყველა სხვა საქმეებში, აქაც ბევრი იყო, რადგან შეუცდომელი მარტო ხელთ-უქმარი და მცონარაა“, რომ ქალაქი წარმატებაში შევიდა, მაგრამ საუბედუროდ „ეს მწყობრი მიმდინარეობა საქმისა ერთიან ჩაიშალა“ ახალ ამორჩევების შემდეგ, რომელიც მოხდა 1891 წლის გასულსო. იმავ წერილში იყო ნათქვამი, რომ ჩვენს საბჭოში, ნაცვლად საქმის მწყობრად მიმდინარეობისა, საზარალო შფოთმა და დაუსრულებელმა უთანხმოებამ დაიჭირა ადგილიო.

ამის მიზეზი ჩვენ უკვე განვმარტეთ წინა წერილში და ეხლაც მოკლედ ვიტყვით, რომ აქაო და თვითონ ქალაქის ერთმა ნაწილმა სასარგებლოდ დაინახა და ქართველები ჩააყენა ხმოსნებათაო, ჯერ გამგეობამ და მერე საბჭოს უმრავლესობამ ბუკი და ნაღარა დაჰკრა—არიქა ვიტუპებითო—და გვარტომობის აფრა აშალეს. ამაზედ აშენდა მთელი შფოთი და უთანხმოება...

რითია დასაწუნი ჩვენ მიერ აღიარებული აზრი, რომ თვით-მმართველობაში უთანხმოებისა და შფოთის მაგიერ უნდა დამყარდეს თანხმობა? ჩვენ-კი ასე ვფიქრობთ და დარწმუნებულიცა ვართ, რომ საზოგადო საქმის მარჯვე და მწყობრი მიმდინარეობა უნდა შეადგენდეს ყოველის მოღვაწის ცხარე წადილს, რომ სიმარჯვე და მწყობრი მიმდინარეობა საქმისა შესაძლებელია მხოლოდ იქ, სადაც დაცულია თანხმობა საზოგადო კრებასა და აღმასრულებელ გამგეობას შორის და სადაც განდევნილია უთანხმოება და შფოთი, რომელსაც სიკეთე არსად არ მოუტანია არც საზოგადო და არც კერძო ცხოვრებაში.

იქნება ჩვენ ვცდებოდეთ. იქნება იყოს სადმე დედამიწის ზურგზედ იმისთანა საზოგადო დაწესებულება, სადაც საქმეები ჩარხივით ტრიალებდნენ და მისწრაფიდნენ წარმატებისკენ იმის წყალობით, რომ წარმომადგენელნი და ორგანონი ასეთის დაწესებულებისა ურთიერთს ჩასაფრებიან, ისეთს სარმასა ჰკრავს ერთი მეორეს, რომ ხან ერთი გადატრიალდება ყირამალა, ხან მეორე და არის ერთი გაუთავებელი შფოთი მათ შორის. ჩვენ ასეთი დაწესებულება არსად არ გვეგულება. სამაგიეროდ, განათლებულ ხალხთა მაგალითი, საპარლამენტო ცხოვრება ევროპისა გვიჩვენებს, რომ ის სამინისტრო, ე. ი. აღმასრულებელი ორგანო, რომელიც ვერ მოურიგდება პარლამენტს, ე. ი. კანონმდებლის ორგანოს, და ადგა თავის გზას წინააღმდეგ პარლამენტის სურვილისა, იძულებულია აიკიდოს გუდა-ნაბადი და დაუთმოს თავისი ადგილი სხვა კაცებს, რომელნიც შესაძლებელად შეჰქმნიან კანონმდებელ ორგანოს მისწრაფების განხორციელებას.

მერე განა იქ პარტიობა არ არისო?—მედგრად მომახლის პირში საკითხს ჩემი გულფიცხი მკითხველი და, თუ არ დამაცალა, ჩემის სიტყვებიდგან გამოიტანს ასეთს აზრს: პარტიობის წინააღმდეგი ყოფილა ამის დამწერიო, აბა მაგას რა ელაპარაკოს კაცმაო. არა, ბატონო, დამაცადეთ—ნუ გისწრობთ ენა წინ. პარტიობა არის ევროპაში და ევროპის ბედნიერების დღევანდელი ქვა-კუთხედიც სწორედ ეგ პარტიობაა, მაგრამ ჩვენებური პარტიობა-კი... ღმერთმა მშვიდობა მისცეს! ჩვენებურს პარტიობას ნათელმირონობის და თავისიანობის ხასიათი დასჩემდა, რის გამოც იგი უმთავრესად აშენებულია თავის მომხრეთა კეთილდღეობასა და კუჭის ჩხავილზედ, და თუ ევროპაში სადმე არის ასეთი ნათელმირონული პარტიობა, იქაც იგი პარტიობა უბედურებას შეადგენს. უმთავრესად ასეთივე ხასიათი ჰქონდა პირველად ევროპაშიაც საზოგადო საქმის სამსახურს. მაგრამ მაგ ხასიათისა დღეს მხოლოდ თითო-ოროლა მელია ეშმაკობით თუ შეძვრება ამორჩეულთა კრებულში, თორემ ყოველ დანარჩენ პარტიის წარმომადგენელთ სახეში აქვთ მხოლოდ წმინდა სურვილი იმ საქმის წარმატებისა, რომლისთვისაც იგინი ამორჩეულნი არიან, და იქ აზრთა სხვადასხვაობა შფოთსა და განხეთქილებას-კი არ ჰბადავს, არამედ ჰშველის საქმის ახსნას, რიგიანად დაყენებას და მწყრობრად მიმდინარეობას.

ევროპის მაგალითსაც რომ თავი დაანებოთ, თვით უკეთესი წარმომადგენელი ჩვენის საბჭოს ოპოზიციისა, ცნობილი ხმოსანი ნ. ი. ნიკოლაძე საბჭოშიაც და გაზეთშიაც სულ იმასა ჩივის და სამართლიანადაც ჩივის, რომ აღმასრულებელი ორგანო, ე. ი. გამგეობა, ეწინააღმდეგება საბჭოს განაჩენებს და ამახინჯებს მის გარდაწყვეტილებასო. ნუ თუ ასეთი პარტიობა სასურველია!..

მოქალაქე

## ახალი ამბავი

*** კავკასიის მთავარ-მმართებლის ნებართვით, დიდ-მარხვის მეექვსე კვირიდგან კავკასიის ექიმთა გამგეობის დარბაზში დაიწყება უფასოდ ლექციების კითხვა იმათთვის, რომელთაც სურთ ხოლერიანობის დროს სასანიტარო კომისიაში მოჰყვნენ. კვირაში სამჯერ იქმნება ლექციების კითხვა: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით. ლექციებს წაიკითხავს ექიმი გაუდელინი.

*** მკითხველებმა იციან, რომ ქალაქის მოურავმა და ტფილისის პოლიცმეისტერმა თავიანთი აზრი წარუდგინეს ბ-ნს ტფილისის გუბერნატორს იმის შესახებ, თუ როდის უფრო უკეთესი იქმნება ტფილისში ცხენების ბაზრობა („იარმუკა“) გაიმართოსო. მათის ანგარიშით, უკეთეს დროდ ნაჩვენები იყო პირველი შვიდი დღე ღვინობისთვისა. გუშინ ქალაქის მოურავმა წარუდგინა ბ-ნს გუბერნატორს დამატებითი ცნობანი და სწერს, რომ ტფილისში ყოველ წელს მაისში სწარმოებს გაცხარებული ვაჭრობა ცხენებისა რიყეზედ, რომ ამ დროს ცხენებს ყიდულობენ ფოსტისთვის და სამხედრო დაწესებულებათათვის, აგრეთვე ყიდულობენ სოფლის მეურნენი საზაფხულოდ, როდესაც გაცხარებულია სხვა-და-სხვა სამეურნეო მუშაობა. გარდა ამისა, ჩრდილო კავკასიიდგანაც ამ დროს უფრო ჩამოჰრეკენ ცხენებს, რადგან აპრილის გასულს ქ. გიორგიევსკში თავდება ხოლმე ცხენების „იარმუკაო“.

*** წლიური გადასახადი სახელმწიფო ხარჯისა ქალაქის მამულებზედ უკანასკნელ ხანში იყო 63,611 მან. 13 კაპ. ეხლა ბ-ნი ტფილისის გუბერნატორი აცნობებს ქალაქის გამგეობას, რომ საერო ხარჯთ-აღრიცხვამ ტფილისის მამულებს არგუნა წლიური გარდასახადი 68,529 მან. 52 კაპ., ე. ი. 4918 მანეთით და 39 კაპ. მომეტებული, ვიდრე უკანასკნელ სამის წლის განმავლობაში იყო. ხსენებული ხარჯი დამტკიცებულია სამის წლით.

*** ქალაქის სადეზინფექციო კამერას ძრიელ აჩქარებით აშენებენ მადათოვის კუნძულზედ. კამერა უკვე დადგეს. ამ თთვის გასვლამდე ყოველივე მოწყობილობა სულ დამთავრებული უნდა იყოს, ასე რომ კამერა თავის მოქმედებას დაიწყებს არა უგვიანეს 1 აპრილისა.

*** ქალაქში დღემდე გაზაფხული იყო გაჩაღებული, ნუში აყვავდა კიდეც და გუშინ, 11 მარტს, მოულოდნელად თოვლი მოვიდა და მთელი დღე ჟინჟღლიანობდა.

*** კავკასიის საარხეოგრაფიო კომისია, ახალ თავმჯდომარის ე. დ. ფელიცინის ხელმძღვანელობით, ამ ცოტა ხანში გამოსცემს ახალ ნაწილს კომისიის «აქტებისას». ამ ნაწილში მოთავსებულ იქმნება დოკუმენტები ა. ი. ბარიათინსკის მართვა-გამგეობის შესახებ.

*** წელს ტფილისის საგუბერნიო საერო ფულიდამ გადადებულია ორი ათას ხუთასი თუმანი ხოლერასთან საბრძოლველად.

*** წელს ტფილისის გუბერნიაში ხოლერასთან საბრძოლველად კავკასიის მთავარ-მართებელმა დაიბარა პეტერბურგიდამ ხუთი ექიმი, რომელთაც ამ დღეებში მოელიან ტფილისს.

*** 5 მარტს, ქ. ბათუმში მოხდა შემდეგი შემაძრწუნებელი ამბავი. ბათუმში სცხოვრობდა ერთი კარგად შეძლებული კაცი, ბ-ნი დ—ის, რომელსაც ჰყავდა ერთი ძმისწული ქალი. დ—ის ოცნება სულ ის იყო, რომ თავისი ნათესავი კარგად დაებინავებინა. ამას წინად სურვილიც შეუსრულდა: ძმისწული მიათხოვა ერთ იქაურს სამსახურში მყოფს ახალგაზდა კაცს. მაგრამ გამოდგა, რომ მის ძმის-

წულს სხვა ჰყვარებოდა. ეს რომ გამოაშკარავდა, ნაცნობები და ნათესავები პირში აფურთხებდნენ: არა გცხვენიან, ერთი ქალი გყვანდა და ისიც უპატრონოდ მიუგდე ისეთს, რომელიც არ უყვარდაო"... დ—მ ვერ აიტანა ამ გვარი კილვა-გინება და თავი მოიკლა. ბარათი დასტოვა: „ჩემს სიკვდილს ნურავის დააბრალებთო".

*** სამტრედია: 10 მარტს, როდესაც სახალხო მატარებელი დაიძრა ფოთისკენ, რკინის გზის ლიანდაგზე იპოვნეს გულ-შემოყრილი, ფოთის მოვაჭრე, ავგერინო. როდესაც გონს მოვიდა, სთქვა: ვაგონში რომ შევდიოდი, ვიღამაც წამართვა პატარა ყვითელი ჩამადანი, რომელშიაც 14 ათასი მანათი იყოვო, მერე ხელი მკრა და გადმომაგდოვო. ჯერ-ჯერობით დამნაშავე ვერ აღმოუჩენიათ.

*** ბათუმი: 9 მარტს, დილით, რკინის გზის მეისრეს მოსე გოგოლაშვილს ვაგონები უნდა გადება ერთმანეთზე. ამ დროს ჩავარდა ვაგონებს შუა და თვლებმა მარჯვენა მკლავი მოსწყვიტა. დაშავებული რკინის გზის საავადმყოფოში გამოგზავნეს.

*** სოფ. ყობანი (კავკავის მაზრა): ამას წინად აქ მოხდა შემდეგი ამბავი: ორს ყობანში მცხოვრებელს ოსს, მოუვიდათ ჩხუბი, ერთმა მეორეს დასცა ხანჯალი წინიდგან და უკან გაახედა; დაჭრილის მორჩენა არავის ეგონა; მაგრამ დროზედ მოესწრო განთქმული შინად ნასწავლი ჰკრილობის ექიმი ქისტი მაჰამედა, დაუწყო წამლობა და დაჭრილს დღეს უკეთობა ეტყობა და მორჩენის იმედიც აქვთ.

*** თელავი. 6 მარტს თელავის საზოგადოებამ და კახეთის თავად-აზნაურთ სადილი გაუმართეს შინ დაბრუნებულს თ. ზაქარია გულბათის ძეს ჭავჭავაძეს. სადილზე ბევრი გრძნობით სავსე სიტყვა ითქვა. სიტყვის მთქმელნი აქებდნენ მამა-პაპურს გმირობას და გამბედაობას თ. ზ. ჭავჭავაძისას და სხვათა შორის ასეთი სურვილი გამოსთქვეს: ვისურვებთ, რომ მომავალს თაობას მიებაძნოს თ. ზ. გ. ჭავჭავაძის შეუდრეკელს გმირობასათვის და ამნაირად მამა-პაპურის გმირობით დაეცვათ და გაევრცელებინოთ საზოგადოდ ყოველივე საუკეთესო მამა-პაპური თვისებახიო, რომ თ. ზ. გ. ჭავჭავაძეს, როგორც სახელმწიფო კაცთა, მახლობელს კვლავ ეზრუნოს სამშობლოს სიკეთესა და წარმატებისათვისაო.

*** იქიდანვე. მარტმა ინამუსა, გამოიდარა. ხელ-ფეხი გაეხსნათ კახელებს. შეუდგნეს უკან დარჩომილს საქმის შესრულებას. ყველგან გაცხარებული მუშაობაა. თოვლის შემდეგ თვალით დაინახა მშრომელმა თავის შრომის ნაყოფი და ისიამოვნა მომავალის მოსავლის სასიკეთო ნიშნებით.

პატივცემულთ თელავის მოქალაქეთა: მამულოვმა და თათუზოვმა შეასრულეს დაპირება, მოზიდეს ფქვილი ტფილისიდამო და ჯერ-ჯერობით დასწიეს ფქვილის ფასი აბაზით. ახლა შვიდი აბაზია. იმედია, პატივცემულნი მოქალაქენი კიდევ ეცდებიან ფასის დაკლებას. ამათთანა გამოცდილ კაცებს მეცადინეობა ტყუილ-უბრალოდ არ ჩაივლის: კიდევ დასწევენ ფასს პურისას და შეუმსუბუქებენ გაჭირვებულთ თავიანთ მდგომარეობას.

*** გორი: მარტის 8-ს ოლქის სასამართლომ განიხილა საქმე ალექსანდრე სოლომნის ძის შაიშმელოვისა, რომელსაც ჰბრალდებოდა, რომ 1891 წელს კონსტანტინე ამილახვრის კაცებს, როცა იმათ გორში ურმებით თივა მოჰქონდათ, გზაში დაუხვდა და თივები უნდა წაერთმია. ამილახვრის კაცებმა თივა არ დაანებეს, მაშინ შაიშმელოვმა თოფი მოიხსნა და ამილახვრის ერთი კაცისთვის უნდა ესროლნა, მაგრამ თოფმა უმტყუნა. შაიშმელოვს დამცველად ჰყავნდა შევალიე. სასამართლომ მოწმებს ჩვენება ჩამოართვა და შემდეგ ბრალდებული გაამართლა.

*** კავკასიის საექიმო გამგეობას ბევრი თხოვნა მოსდის სხვა-და-სხვა რუსეთის ქალაქებიდგან, ფერშლებისა, ბებიებისა და ექიმ-სტუდენტებისა, რომლებიც თხოულობენ, რომ ჩარიცხულ იქმნენ ხოლერის წინააღმდეგ საბრძოლველ სასანიტარო დასში („Кавказъ").

*** ამას წინად ჩვენს გაზეთში იყო მოხსენებული, რომ ხონის საოსტატო სემინარიაში 7 მარტს სწავლა მესწყდაო; ამბობდნენ, ვითომ ხუნაგის გაძლიერების გამოვო. მაგრამ, როგორც „Т. Л."-ს შეუტყვია, ამის მიზეზი თურმე ის ყოფილა, რომ სემინარიის პანსიონერებს თავის ნებით ერთხმად მიუტოვებიათ სასწავლებელი და თავიანთ სახლებში წასულან.

*** „Сбор. узакон. и расп. правительства"-ს უკანასკნელ ნომერში დაბეჭდილია სხვათა შორის კანონდებლობა, რომლის ძალითაც ბათუმსა, ქუთაისსა და სუხუმში უნდა შემოიღონ პოლიციის ახალი შრატებიო.

*** 10 მარტს ალექსანდრე მელიქ აზარიანცმა პოლიციაში გამოაცხადა, რომ ძველს ინსტიტუტის ქუჩაზე ამ თთვის 8, საღამოს 8 საათზე, ვიღამაც წერილი მომიტანა. წერილში იმუქრებოდა და სწერდა, ეხლავე 500 მანეთი ჩამაბარეთო. ეს კაცი, როგორც გამოიძიეს, განჯის მაზრის სოფ. ზურნაბატის მცხოვრებელი ალექსანდრე ავაჯანიანცი ყოფილა; დამნაშავე შეიპყრეს და სამართლში მისცეს.

## მთავრობის განკარგულებანი

შინაგან საქმეთა მინისტრის მოწერილობით, რომელიც ამ 1893 წლის 14 იანვრის თარიღით № 173 დაეგზავნათ გუბერნატორებს, კავკასიიდგანაც, როგორც რუსეთის სხვა კუთხიდგან, უნდა გადაასახლონ ებრაელები იმ ადგილებში, რომელიც მათ საცხოვრებლად არის დანიშნული. ამ საქმის სისრულეში მოყვანის დროს სახელმძღვანელოდ კავკასიის მთავარ-მართებელმა ცირკულიარით აცნობა კავკასიის გუბერნატორებს, თუ რომელ ებრაელებს აქვთ კანონიერი უფლება იცხოვრონ კავკასიაში და რომელთ არა:

I, უფლება აქვთ კავკასიაში ცხოვრებისა:

1) იმ ებრაელებს, რომელნიც დიდი ხნიდან დამკვიდრებულან კავკასიის სხვა-და-სხვა კუთხეში და კამერალიის სიაში მოჰყვნენ.

2) ამიერ-კავკასიის და სტავროპოლის გუბერნიის ებრაელებს, რომელნიც 1837 წლის 18 მაისის მინისტრთა კამიტეტის დებულების გამოცხადებამდე დამკვიდრებულ იყვნენ აღნიშნულ ადგილებში და მეურნეობას მისდევდნენ.

3) ხელოსან-ებრაელები, რომელნიც სხვა-და-სხვა დროს უმაღლესად დამტკიცებულ დებულებათა ძალით მიწერილ არიან კავკასიის სხვა-და-სხვა სოფელსა და ქალაქს.

4) ის ებრაელები, რომელთაც სამხედრო სამსახური გაუთავებიათ, ან უვადოთ დათხოვნილ არიან და დარჩენილან კავკასიაში.

5) I გილდის ვაჭრონი ებრაელები და მათი ოჯახობა, რომელნიც კავკასიაში მცხოვრებთა რიცხვში არიან ჩაწერილნი.

6) და აგრეთვე მათი ნოქარნი და მოსამსახურენი; ხოლო ნოქარი ერთზე მეტი არ შეიძლება და მოსამსახურე ოთხს არ უნდა აღემატებოდეს.

7) მკურნალ-ებრაელები, რომელთაც სამკურნალო მეცნიერების ექიმის ხარისხი აქვთ და ან უნივერსიტეტის სხვა ფაკულტეტზე სწავლის კურსი დაუმთავრებიათ; აგრეთვე სამსახურში მყოფი ექიმები და კბილის ექიმები, ბებია-ქალები და აფთიაქის შეგირდები.

8 არაყისა და ლუდის მხდელი ებრაელები, ტეხნიკები და სხვა ხელოსნები, შეგირდები 18 წლისაზე არა უმეტეს ხნისა, ჯარის დერეციკები, რაბინები სინაგოგებთან და უცხოეთიდან მოსული ებრაელები, რომელთაც კავკასიაში ცხოვრების უფლება აქვთ.

II, ის ებრაელები, რომელნიც ზემოდ აღნიშნულ ერთ-ერთ ჯგუფს არ ეკუთვნიან, უნდა განიდევნონ კავკასიიდან. სოფლებში, დაბებში და ქალაქებში, სადაც ასეთი ებრაელებია, პოლიციის ბოქაულებმა უნდა გამოუცხადონ მათ შინაგან საქმეთა მინისტრის ცირკულიარი და მოსთხოვონ მათ, ოთხის-თთვის განმავლობაში გარდასახლდნენ კავკასიიდან ან თუ საპატიო მიზეზით დაიგვიანებენ, არამც და არამც ამა წლის 1 ნოემბერს იქით არ დარჩნენ. ვინც ამას არ აასრულებს, იმათ პოლიციის ძალ-დატანებით გარდაასახლებენ.

პოლიციის ბოქაულებმა 15 აპრილამდე უნდა წარუდგინონ აუცილებლად მაზრის უფროსებს და პოლიცმეისტრებს ის სიები, რომელშიც აღნიშნული იქნებიან გარდასასახლებელი ებრაელები. ეს სიები შესწორებით და დამატებით მაზრის უფროსებმა და პოლიცმეისტრებმა 1 მაისამდე უნდა წარუდგინონ გუბერნატორებს, რომლებმაც დაუყოვნებლივ უნდა განიხილონ და სისრულეში მოსაყვანად უკან დაუბრუნონ ისევ მაზრის უფროსებსა და პოლიცმეისტრებს.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**სოფ. დიდი-ჯიხაიში** (ქვემო იმერეთი) 1 მარტი. ამას წინად გწერდით, რომ ჩვენში ბაზრობის დაარსება განვიზრახეთ მეთქი. მართლა შევადგინეთ განაჩენი და წარვუდგინეთ მთავრობას დასამტკიცებლად. ეს განაჩენი უკვე დაამტკიცეს და გადმოსცეს ადგილობრივს მთავრობას სისრულეში მოსაყვანად. 17 თებერვალს ამ საგანზედ იყო ყრილობა, რომელსაც დაესწრო ბ-ნი მომრიგებელი შუა კაცი და მიულოცა ხალხს ჩვენში ბაზრობის დაარსების დამტკიცება. ხალხში სიხარული ჩამოვარდა. წინააღმდეგი ამ საქმეს არავინ არ გამოუჩნდა; ხშირად მოხდება ხოლმე, რომ ამისთანა დაწესებულებას მოქიშპენი გაუჩნდებიან და შეიქნება „პარტიაობა", მაგრამ ჩვენში არავითარი აყალმაყალი, ქიშპობა და „პარტიაობა" არ შემდგარა; ნაცვლად ამისა, ხალხი თანაგრძნობით მიეგება განაჩენს.

ბ-ნმა მომრიგებელმა შუაკაცმა წაიკითხა ქაღალდი დამტკიცებისა: „მიეცეს სოფელს დიდ-ჯიხაიშს ბაზრობის ნება ყოველ ოთხ შაბათობით დანიშნულ ადგილას, ესე იგი იქ, სადაც ახლა რამდენიმე დუქანია. ეს მამული სივრცით ერთი ქცევა არის, თ. ს. გ. ჩხეიძისა, რომელმაც შესწირა საზოგადოებას, თუ ვინიცობაა ჩვენში ბაზრობა დამტკიცდებოდა. რაც დიდ ჯიხაიშში დუქნებია, გადმოტანილ უნდა იქმნას ამავე დანიშნულ ადგილას, ხოლო ვინც არ გადმოიტანს, აღეკრძალოს და სხვ"...

ამ დღესვე აქაურმა აფთიაქარმა ბ-ნმა კანდელაკმა შეჰკრიბა ორმოც მანეთამდე ფული, "პლატფორმის" შესაკეთებლად, რომელიც ძლიერ შეგვიძველდა. სიტყვამ რაკი მოიტანა, არ იქნება ურიგო, რომ მკითხველს გავაცნო ეს ჩვენი „პლატფორმა" და მისი მნიშვნელობა ჩვენთვის. „პლატფორმა" მდებარეობს ორ-სამ ვერსის მანძილზედ ჩვენის სოფლიდგან სამტრედიასა და კოპიტნარის სადგურებს შუა და დიდს სამსახურს უწევს შვიდ-რვა სოფლის მკვიდრთ. აქ, სადაც ეხლა „პლატფორმა", განზრახვა იყო სადგურის აგებისა ხუთი-ექვსის წლის წინად, ხოლო ვიღაცეების და რაღაცეების მიზეზით, ვეღარ მოხერხდა. რა-კი ასე უსადგუროდ დავრჩით, ბ-ნმა ნ. ნიკოლაძემ ითავა და გააკეთებინა დღევანდელი „პლატფორმა". უპლატფორმოდ ძლიერ გაჭირვებული ვიქნებოდით. სადგურ სამტრედიამდე ჩვენგან 15 ვერსია, ხოლო კოპიტნარამდე არა ნაკლებ შვიდ-რვა ვერსისა. ამასთან ჩვენსა და ერთს სადგურს შუა მდინარე გუბის წყალი მოდის და გზებიც ძლიერ ცუდია; ამისათვის ვერც ერთი და ვერც მეორე სადგური ჩვენ ვერ გვიშველის, „პლატფორმა" რომ არ გვქონდეს. კარგი იქნებოდა, რომ ამ გარემოებას მიაქცევდეს ყურადღებას რკინის გზის მმართველობა და აქ სადგურს ააგებდეს, მით დიდი სარგებლობა ექნება თვით-მმართველობასაც და მკვიდრთაც. აქ რომ სადგური გაკეთდეს, გარდა მკვიდრთა, ბევრი სხვა გარეშე ხალხიც მოვა და სავაჭროსაც მოზიდავს, რა-კი ჩვენში ბაზრობა დამტკიცდა; ესეც რომ არ იყოს, მთელი მოძრაობა, რაც ახლა ხონს და სამტრედიას შუაა, აქეთ იქნება, რადგანაც ხონიდგან ეხლანდელ „პლატფორმამდის", სწორი გზაა და შვიდი-რვა ვერსით უახლოესიც. მასთან დიდ საჭიროებად მიგვაჩნია მდ. რიონზედ ჩვენ და საჩინოს შუა ხიდი; საჩინო სწორედ დიდ გასაჭირშია უხიდობის გამო. ეს მხარე ბუნებით მდიდარია, მაგრამ თავის სიმდიდრეს ვერაფრად აჩენს, რადგანაც რიონს გაღმა მდებარეობს და ერთი ხიდი არ საით არა აქვს, რომ ხალხი თავისუფლად გავიდგამოვიდეს, გაჭირვებაა ნამეტნავად თუ ცუდი ამინდებია და წყალ-დიდობა. მაშინ მისვლა-მოსვლა მთელი კვირაობით ყოვლად შეუძლებელია. როგორც ჩვენთვის „პლატფორმაზე" საჭიროა სადგურის აგება, ორჯერ მეტად საჭიროა საჩინოსათვის რიონზედ ხიდი. ჩვენსა და საჩინოს შუა დიდი მანძილი არ არის, მაგრამ ყოველსავე მისვლა-მოსვლას რიონზედ უხიდობა გვიშლის. ცხადია, რა საჭიროებას შეადგენს ჩვენთვის სადგური და საჩინოსთვის—ხიდი.

ზემოხსენებულ ყრილობაზედ ჩამოვარდა ლაპარაკი აგრეთვე იმის შესახებაც, რომ მეფაიტონეებს, რომელნიც დადიან ჯიხაიშსა და „პლატფორმის" შუა, ნიხრი დაეწესოს. ლაპარაკი იყო აგრეთვე, რომ ყურადღება ჰქონდეს მიქცეული ჩარჩებისა და ვაჭრების საზომ-საწონსა.

ჩვენში სწავლის სურვილი დიდია, რასაც გვიმტკიცებს ჩვენს ორ-კლასიან სასწავლებელში ყმაწვილების სიმრავლე: თითქმის ორასამდე ყმაწვილია. აგერ ოთხი წელიწადია, რაც ორ-კლასიანი სასწავლებელი გვაქვს და ყმაწვილების რიცხვი თან და თან მატულობს. იქონიეთ სახეში, რომ ამ სასწავლებელში სწავლობენ მხოლოდ გლეხობის შვილები, ყოველ წლობით ოცი, ოცდა ათი მსურველი უადგილოდ რჩება, და მათ რომ თავად-აზნაურთა ყმაწვილები მივუმატოთ, მგონი, სამოციც შეიქნეს. საჭიროა, რომ კიდევ რაიმე ღონისძიება მივიღოთ და ამდენი სწავლის მსურველნი დავაკმაყოფილოთ. ჩვენს სკოლასთან არის ორ ქცევაზედ მეტი ადგილი, რომელზედაც ბაღი შენდება, და ყმაწვილები მეურნეობას და მეფუტკრეობას ეჩვევიან.

ამინდები კარგი გვაქვს; გაზაფხული კარს მოგვადგა და ფრინველნი აჭიკჭიკდნენ. წრევანდელ ზამთარს თუმცა ბევრნი ემდურებიან, მაგრამ ჩვენ სამდურავი არ გვეთქმის; თოვლი მთელი ზამთარი ორჯელ თუ სამჯერ ვნახეთ, მეტჯერ არა. მხოლოდ შუა ზამთარში ცოტა რომ ქარებს არ შევეწუხებინეთ, მაშინ-კი, თუ ზამთარი იყო წელს ვერ გავიგებდეთ. ახლა-კი გაგვიზაფხულდა და მუშაობაც გაჩაღდა; მინდვრები აგვიმწვანდა და ხეხილიც აგერ-აგერ ყვავდება. გაზაფხულს ძრიელ სიხარულით ვეგებებით, მაგრამ უფრო სიხარულით მივეგებებით ახალ ბაზრობას, რომლის კურთხევა და პირველი ბაზრობა იქნება 10 ამ მარტს, ოთხშაბათს დღეს.

გარეშე გლეხი.

## წერილი სუხუმიდამ

„Только ростъ народнаго образованія можетъ дать намь силы для врачеванія нашихъ многочисленныхъ недуговъ". (Р. Мысль. № 1,93 г. Внутр. обозр.)

ამ ბოლოს დროს, საუბედუროდ, თითქმის ყნელგან, და ნამეტნავად იმ გვარ მიყრუებულ კუთხეებში, როგორც ჩვენი სუხუმია, გამოძვრნენ სოროებიდან, თავი აიღეს და სისინს მოჰყვნენ იმ გვარი კაცები, რომელნიც თუ თვით ადამიანს, ან გამოთქმულ მის მიერ რასმე აზრს ვერას დააკლებენ, ვერ ჰშოულობენ ხოლმე მის მოქმედებაში, აზრში რასმეს, განკიცხვის ღირსს, მაშინვე გადასწვდებიან მის შთამომავლობას, გვარ ტომობას, ენას, და რა-კი ამ

ნიადაგზედ დაადგამენ ფეხს—ძნელად თუ ვინმემ გაჰბედოს მათთან ბრძოლა: საშიშია. ქვეყნის, თითქმის სახელმწიფო მოღალატედ გამოგიყვანენ და ჩაგჩრიან პირში ბურთსა,—თვით „ტაძარსა წმიდასა მოსცხებენ“ თავის მურტალის ხელებით და ენით „ჩირქს“,—ადამის ძეს ხო რა-ღა ხეირს დააყრიან!.. მინამ შენ იმართლებ თავს, სადაც და ვისთანაც ჯერ არს, მინამ შენ-შენი დაგემართება,— ჩირქი, მათგან მცხობილი დიდხანს ვერ ჩამოგებანება... ამ ვაჟბატონებს ძვალსა და ხორცში აქვსთ გამჯდარი. დონ-ბაზილიოს *) სიტყვები: „რაც შეგეძლოსთ, ცილი სწამეთ, სწამეთ ცილი: არ შეიძლება, არა მოეცხოს რა ცილ-დაწამებულსა! ამ გვარნი გვამნი თითქმის ყოველ საუკუნეში ყოფილან, მხოლოდ სხვა-და-სხვა ფარ-ხმლით აღჭურვილნი. ჩვენ დროში ეს ბატონები ფარხმლად ხმარობენ სუტპატრიოტობას და მართლ-მადიდებლობას. ესენი ლაღადებენ: „ვინც ამა და ამ ერს არ ეკუთვნის, ამა და ამ ენაზედ არ ლაპარაკობს და არა სწერს, ამა და ამ სარწმუნოებისა არ არის, ის მოღალატეა ქვეყნისა, სიცოცხლის ღირსი არ არის და თავის სამშობლოდან განდევნილ უნდა იქმნას. თვით ამ ვაჟბატონთ-კია ერის ენაც, რომელსაც ესარჩლებიან, ფეხებზედ ჰკიდიათ,—იგინი თავის პირადის ინტერესს ემსახურებიან, იგი და იგი აქვსთ მხოლოდ საგნად და აზრად. მე ჩემის მოკლეს ჭკუით ესე ვსჯი: ვისაც სხვისი თავისუფლება, ერი, ენა, სარწმუნოება სძულს, პატივს არ სცემს, არც თავისი საკუთარი თავისუფლება, ერი, ენა, ქვეყანა ეყვარება, და ადვილად უღალატებს ყოველსავე ამას. თუ მე ჩემი თავი არ მიყვარს, რა ვჰქნა, არც სხვა მეყვარება... ბურთი და მოედანი რჩებოდათ, რჩებათ და კვლავაც დარჩებათ იმათ იმის გამო, რომ მათგან ამოღებულ მიზანში მსხვერპლთ არა აქვთ: ვაჟ-კაცობა, ერთობა, ერთი-ერთმანეთის გატანა, ერთი პირი. და ხომ მოგეხსენებათ, ციხე შიგნიდან გატყდება. აბა ერთი პირი ჰქონდეთ, მხარი მისცენ ერთმანეთს, ორმა არ უთხრან ერთმანეთს— თუ რამე დააკლონ ამ საზიზღარ მელინარებმა. არ მომიკვდეთ! ტყუილადკი არა სთქვა პოეტმა:

„მტრის არ მცნობი,
მოყვრის მგმობი,
სხვასთან მხდალი, შინ ძლიერი“.

არ ვარგივართ, არა... არ გაგიგონიათ—რა უპასუხა ვეება გადმოქცეულმა ხემ ტყეში მიმავალ მგზავრს, როდესაც უკანასკნელმა უსაყვედურა: ერთი ბეწო, პაწაწინა რკინამ როგორ დაცა მაგოდენა ვეშაპი ძირსაო? არა? მაშ მე მოგახსენებთ: „ჩემი ბიძაშვილი ტარად რომ არ ჰყოლოდაო, ვერას დამაკლებდაო. ცულის ტარებმა ბევრჯელ დასცეს ძირს, ანუ, უკედ ვსთქვათ, უშველეს ძირს დაცემას, წაქცევას სხვა-და-სხვა ერის საქმისა...

ამას წინად კნ. მარიამ დავითის ასულმა შარვაშიძისამ მოიწადინა ქართულ-რუსულ წარმოდგენის გამართვა სასარგებლოდ იმ დედათა სასწავლებლისა, რომლის დაარსება ტფილისში განიზრახა დიდად პატივცემულმა მარიამ ვახტანგის ასულმა ჯამბაკურ-ორბელიანმა. მალე კნ. მ. შარვაშიძის სურვილი განხორციელდა; აქაურ სცენის მოყვარულთ მიერ წარმოდგენილ იქმნა ქართულად „ბაიყუში“, მხოლოდ რუსულად „Чашка чаю“. მე საუბედუროდ, ჩემს უნებურად ვერ დავესწარი ამ წარმოდგენას. მოგახსენებენ-კი, წარმოდგენამ, მეტადრე ქართულმა, მშვენივრად ჩაიარაო. ეს კი ვიცი: დარბაზი სავსე იყო და ბევრმა უბილეთობის და უადგილობის გამო ირჩიეს—ფულის გაღებით ფეხზედ დგომა. წმინდა შემოსავალი გახლდათ 153 მან. და რამდენიმე კაპეიკი; აქაურობისთვის ეს დიდი შემოსავალია. ეს ფული, როგორც გავიგეთ, მიერთვა პირველსავეფოსტით კნ. მ. ვ. ჯამბაკურ ორბელიანისასა, მაგრამ მინამ ეს კეთილი აზრი განხორციელდებოდა, რამდენი ზნეობრივი ტანჯვა მიაყენეს ზემოხსენებულ ჯურის ხალხმა ამ პატივცემულ კნ. მარიამ შარვაშიძისა? რა ოინები არ გამართეს, რა ჭორები არ გაავრცელეს, რომ ეს წარმოდგენა ჩაეშალათ და ხალხი ნაკლებად დასწრებოდა! „ნუ თუ ფული გადასაყრელი გაქვსთ, რო გნებავსთ იმ წარმოდგენას დაესწროთ?! ჩვენ, რა, ტფილისში რომ სასწავლებელი იმართება და მერე ვისთვის?.. ქართველებისთვის!!. სჯობს, მერწმუნეთ, ეგ ფული შეინახეთ და აი ექვს ამ თთვის წარმოდგენას მართავს ღარიბ-ღატაკი ავადმყოფი ქალი, რომელსაც ეს ოთხი წელიწადია ინახავს სუხუმი, და მაშინ წაბრძანდით. სამადლო საქმეც არის და წარმოდგენაც უკეთესი იქნება. აბა ჯერ თვით ქართველები რა არიან, რო მათი წარმოდგენა რა იყოს?! არა, არა, წასვლა არ ღირს! ისევ სჯობს, ორი სტოლი გავაშლევინოთ—ერთზედ ვივინტოთ, მეორეზედ პირის გასასველებელი და ჭკუა გონების გამომაფხიზლებელი სასმელი და სელიოდკა დავაწყობინოთ. ესე სულითაც და ხორცითაც დავსტკბებით!.. „განგებ წარმოდგენის დღეს ესტუმრებოდნენ და აუშლიდნენ დასწრებას წარმოდგენაზედ ზოგიერთ მსურველთ, აფიშებს ჰგლეჯდნენ, ავრცელებდნენ ხ ლხში ხმას, რო ბილეთები სრულიად გაყიდულია და ტყუილად თავს ნუ იწუხებთ მათი შოვნისთვისაო,—რომელი ერთი მოვთვალოთ?! საზიზღარი და სამწუხარო ეს არის, რო ამ გვარი ოინების მომქმედნი ისეთნი იყვნენ თურმე, რომელთაც უნდა ესმოდეთ, რო სწავლა-განათლება ყველასთვის საჭიროა, ქართველი იყოს, თუ რუსი, სომეხი, თუ თათარი, ებრაელი, აისორი, რო ის სახელმწიფო უფრო წინ არის, რომლის ქვეშევრდომთ შორის მეტმა ნაწილმა იცის წერა-კითხვა, რომელ ენაზედაც იყოს—სულ ერთია, რომ სკოლების დაარსება და გავრცელება სჯობს ყავახანების, სამიკიტნოების და სხვა-და-სხვა ყომარბაზობის სახლების დაარსებას და გამრავლებას. ჩვენში, ხო მოგეხსენებათ, ურუსულ ენოთ ხომ არა იქნება-რა, ყველგან ასწავლიან და უნდა ასწავლონ კიდევაც, რადგანაც ეს ენა—დედა-ენას გარდა—საჭიროა ყველასათვის, როგორც სახელმწიფო ენა. მაშ რა ეპრიანებათ, რად გვიშლიან, რად გვეღობებიან წინ, რომ გვინდა რითიმე აღმოვუჩინოთ ჩვენი თანაგრძნობა მომავალ, თუმცა ქართულ, მაგრამ მაინც სკოლას, და არა მიკიტნახანას?!. მართალია, ფონს ვერ გაბრძანდნენ: როგორც ზემოდ მოგახსენეთ— დარბაზი გაჭედილი გახლდათ მაყურებლებით, მაგრამ მათგან ჩადენილი საქმენი ჩირქად რჩება და ასვამს საზიზღარ ბეჭედს აქაურ ორ-ფეხ მელინართა...

სიამოვნებით და თავ-მოწონებით შეგვიძლიან გამოვაცხადოთ, რომ აქაური ქართველობა—დიდი თუ პატარა—სიხარულით დაესწრო ამ წარმოდგენას და დიდი, დიდი თანაგრძნობა აღმოუჩინა სცენის მოყვარულთ. ვაშა მათ! იმ კუთხეში, სადაც ამ გვარი თანამგრძნობელნი გვეყოლებიან, მერწმუნეთ, გველაძუები ვერას გვიზამენ და ვერ შეგვაშინებენ თავიანთის სისინით! ჩვენ, აქაურები, მივხვდით, რო თავი უნდა დავიგირავოთ, გავიყიდოთ და ჩვენ შვილებს-კი სწავლა-განათლება მივსცეთ,—და ამ აზრისთვის—დეე ამ გველაძუებმა არამც თუ გვისისინონ, გვიკბინონ კიდევაც. არა უშავს-რა! დეე, დაშხამულნი მათგან დავიხოცნეთ, მაგრამ გზა უვალი, ჩვენგან თელილი, მაინც დარჩება და ჩვენ მოძმეთა და შვილიშვილთა გაუადვილებს მის გარბენასა!..

აბუ-კინო

---

## ბიბლიოგრაფია

**ქუთაისის გუბერნიის მკვიდრნი—ი. ი. პანტიუხოვისა.**

(Населеніе Кутаисской губерніи—И. И. Пантюхова. С.-Пб. 92 г.)

(დასასრული *)

მეორე ნაწილში ბ-ნი პანტიუხოვი გვიამბობს რიონის მიდამოს მცხოვრებლების მეტ-ნაკლებობას. ციფირებით გვიმტკიცებს, რომ მათ რიცხვს მცირედ უმატნია. ამის მიზეზად მიაჩნია საზრდოს სინაკლულე და სხვა-და-სხვა სენი: ციებ-ცხელება, ყიყვი და მუნი, აგრედვე ომიანობა, მონებით ვაჭრობა და წინა დროების ქალ-ვაჟთა ხარკის მაგივრად გაღება. შემდეგ ბ-ნი პანტ. ლაპარაკობს საერთო ქართულ ენაზე, სწავლა-განათლებაზე, კულტურაზე, სასმელ-საჭმელზე, საქონელზე, ერთი სიტყვით,— რაც-კი ეთნოგრაფიას შეეხება.

მთიან ადგილებში ცხოვრობენ სვანები, ლეჩხუმელები და რაჭველები, ბარად—იმერლები, მეგრელები, გურულები და აფხაზები. ადგილების ტოპოგრაფიულ მდებარეობას დიდი მნიშვნელობა აქვს ხალხის ცხოვრებაში. ამის გამო მთისა და ბარის მცხოვრებთა ყოფა-ცხოვრებაში დიდი განსხვავება არის. ამიტომ ბ-ნი პანტიუხოვი არჩევს ორივეს ყოფა-ცხოვრებას და უფრო ვრცლად ლაპარაკობს სვანებზე: „როგორი იყო აქ პირვანდელი ტიპი—ძნელი სათქმელია. თუ დავეფუძნებით მათ თავისებურს ენას, ცხოველთა თაყვანისცემას, თავისებურ ციხეების შენების ხელოვნებას, როგორც რიტტერს, შეგვიძლია ვსთქვათ, რომ სვანები პირველად უნდა გამოსულიყვნენ ინდოეთიდამ; შემდეგში შემორევია სხვა-და-სხვა ტომი, მაგ. ბერძნები. ამას გვიმტკიცებენ ზოგიერთნი სვანური სიტყვები: გერმეს—ღმერთი, გე—მიწა, ხეირ—ხელი, კეფა—თავი და სხვ. ფიზიკურ აგებულების გამოსაკვლევად ბ-ნ პანტიუხოვს გაუსინჯავს 3,000-მდე კაცი. გამოუკვლევია მათის თმისა და თვალის ფერი, სიმაღლე, მკერდის სიმრგვლე, თავის ქალა, პირის სახე, ხელი და ფეხი, ტანი და შინაგანი ორგანოები. ჩვენ აქ არ შეგვიძლია მოვიყვანოთ ყველა ის ციფირები, რომლებიც აჭრელებენ ბ-ნ პანტიუხოვის შრომას. ვნახოთ მხოლოდ, როგორ უსარგებლნია ამ ციფირებით და რა დასკვნა გამოუყვანია. ყველა აქ მცხოვრებნი ერთი-მეორეს არა ჰგვანან, ერთ გვარი ტიპი აქ არ მოიპოვებაო; ისტორიულ წინა ხანებში-კი უნდა ყოფილიყო ერთი უმთავრესი ტიპი, რომელიც სხვა ტომთა გადმოსახლების შემდეგ შეცვლილა. რა დროს მოხდა ეს—ძნელი სათქმელია, ხოლო ძველის-ძველად-კი უნდა მომხდარიყო, რადგანაც ისტორიაში ამ გადმოსახლებულთა კვალს და ნიშანს ვერა ვპოვობთ. ფიზიკურად ისინი უნდა განძლიერებულიყვნენ, ვინც უფრო განცალკევებით და საუკეთესო გარემოებაში სცხოვრობდა და სადაც დამჩაგვრელი არავინ ჰყავდა. მაგ., ლეჩხუმში, რაჭაში და იმერეთის ერთს ნაწილში წარმოსადეგი, ახოვანი, ჯანმრთელი, თავისებური ტიპია დაცული; სამეგრელოში, სადადიანო სვანეთში, აბხაზეთში—სადაც გავრცელებულია სხვა-და-სხვა სენი—უფრო დაბალ ტანის, დაუმთავრებელი ტიპია. „როდესაც შესაძლო იქნება ადამიანის ჩონჩხის ყოველგვარი შესწავლა, მის სიგრძე-სიგანესა და სიმაღლის ერთმანეთთან შედარებით იმის გამორკვევა, თუ ეს ჩონჩხი რა მოდგმისა და ტომის ხალხს ეკუთვნოდა,— მხოლოდ მაშინ გამოაშკარავდება საიდუმლო ისტორია რიონის მიდამოს მკვიდრ მცხოვრებთა. გამორკვეულ იქმნება გარედ-ვე, რომელი ტიპია უძველესი ანუ შემდეგ მოსული, რომელი ყოფილა უმძლავრესი და დაუმორჩილებია უძლური; შემდეგ როგორ არეულან ერთმანეთში, ვისი სახე შენახულა და ვისი გამქრალა ანუ გადაბირებულა; როგორ უმოქმედნია ამ არევ-დარევას ერთა ფიზიკურ აგებულებაზე, ჭკუა-გონებაზე, წეს-წყობილებაზე“ და სხვა.

ბოლო ნაწილი ბ-ნ პანტიუხოვის ნაწერისა შეეხება პატოლოგიას. რიონის მიდამოს მცხოვრებთა რიცხვს საკმაოდ არ უმატნია. ამის მიზეზი სხვათა შორის სხვა-და-სხვა სენი ყოფილა: ციებ-ცხელება, ყიყვი, და მუწუკეული. ბ-ნი პანტიუხოვი სცდილობს გამოარკვიოს, რა ცუდი შედეგი ჰქონია ამ სენებს და მოჰყავს ის ადგილებიც, სადაც გავრცელებულია ეს სენები: ციებ-ცხელება—სამეგრელოში, ყიყვი—სვანეთში, მუწუკი—თითქმის ყველგან. აქვე ბ-ნი პანტიუხოვი ასახელებს სხვა სენებსაც, რომელიც ცოტად თუ ბევრად არის გავრცელებული რიონის მიდამოში: ჰლექს, ხუნაგს და სხვ., მაგრამ ამათზე გაკვრით ლაპარაკობს.

დ. ახ.

ს.-პეტერბურგი, 15 დეკემბერი

*) იხ. „ივერია“ № 50.

---

## უცხოეთი

**ინგლისი.** 19 თებერვალს გლადსტონთან მივიდა მუშათა ნაციონალურ ფედერაციის 60 დეპუტატი და სთხოვეს, მოგვისმინეთ, ჩვენი აზრი მოგახსენოთ მუშათა სხვა-და-სხვა საქმეების შესახებ და სხვათა შორის იმაზედ, რამდენად საჭიროა მადნების მუშებმა დღეში 8 საათზედ მეტი არ იმუშავონო. დეპუტაციაში იყვნენ: ინგლისისა, შოტლანდიისა და ვალისის მადნების მუშათა წარმომადგენელნი (გარდა ნორტუმბერლანდისა და დარგომისა). გლადსტონი დეპუტატებს მიესალმა, ბოდიში მოსთხოვა, სულ მცირე დრო მაქვს თქვენთან საუბრისა, რადგანაც ორ საათზე პალატაში უნდა ვიყვეო და შემიძლიან მოვისმინო მხოლოდ თქვენი აზრი შესახებ დღეში 8 საათის მუშაობისა, დანარჩენ საქმეებზედ-კი თქვენი აზრი შინაგან საქმეთა მინისტრს აცნობეთო. პირველად ილაპარაკა იორკშირის მადნების მუშამ, პაროტმა. მგონია, ყველასთვის ცხადიაო, სთქვა ორატორმა, რომ მადნებში მუშაობა სხვა გვარ მუშაობისაგან გაირჩევა. პირველმა მინისტრმა უკვე გამოსთქვა, რომ მადნებში მუშაობამ დღეში 8 საათზე მეტ ხანს არ უნდა გასტანოსო. საქმე მხოლოდ ისაა, როგორ მივაღწიოთ ამ სურვილს. მადნების პატრონებსა ვთხოვეთ, მუშაობა 8 საათამდე შეგვიმცირეთო, მაგრამ არ დასთანხმდნენ. მაშასადამე ორი გზა-ღა დაგვრჩენია: ან უნდა გავიფიცნეთ, რომ ჩვენს წადილს მივაღწიოთ, ან არა და ამ საქმეში მთავრობა უნდა ჩაერიოს. გაფიცვა სასურველი არ არის, რადგანაც გაფიცვისა და მუშაობის აღკვეთის დროს უნდა დაიტანჯოს ჩვენი ცოლშვილი. ამას გარდა გაფიცვა კარგი არ არის იმიტომ, რომ მუშებსა და მადნების პატრონთა შორის დიდი უთანხმოება ჩამოვარდება ხოლმე. თუ გინდა გაფიცვის გამო მადნების პატრონებმა სურვილი აგვისრულეს, ეს დიდ ხანს არ გასტანს და დღეს თუ ხვალ მადნების პატრონები მაინც თავისას არ დაიშლიან. ჩვენ იმ აზრისანი ვართ, რომ თუ მთავრობა ჩაერია ჩვენს საქმეში და კანონად დასდო, რომ დღეში მხოლოდ 8 საათი ვიმუშავოდ, ეს ძლიერ სასარგებლო იქნება როგორც მადნების პატრონებისათვის, ისე მუშებისთვისაც.

გლადსტონმა ამაზედ უპასუხა: მე სრულიად გეთანხმებით, რომ მადნებში 8 საათის მუშაობა სრულიად საკმარისია. ასეთივე უნდა იყოს, ჩემის ფიქრით, მთელი საზოგადოების აზრი. მაგრამ საქმე ისაა, რამდენად არსებობს ამ საქმის შესახებ თანხმობა ყველა მუშათა შორის. თქვენ მოხვედით ჩემთანა და ბ-ნ ასკვიტთან, როგორც წარმომადგენელნი ინგლისისა, შოტლანდიისა და ვალისის მადნებისა. მაგრამ თქვენ შორის, სამწუხაროდ, ვერა ვხედავ მუშებს ნორტუმბერლანდისა და დორგემის მადნებისას. როცა ამას წინად მთელი მიდლოტიანი მოვიარე, ამ საქმის შესახებ სრულს თანხმობას ვერ შევხვდი ყველა მუშებთა შორის. ჩემის აზრითაო, სთქვა შემდეგ გლადსტონმა, იმ დრომდე, ვიდრე ამ საქმის შესახებ ყველა მუშათა შორის სრული თანხმობა არ იქმნება, საეჭვოა, პარლამენტმა ის ბილლი შეიწყნაროს, რომ მადნებში მუშაობა 8 საათამდე შემცირდეს. დასასრულ გლადსტონი დაჰპირდა მუშებს, ამ საქმის გამო ბილლის წაკითხვის დღეს დავნიშნავო.

---

# დეპეშა

10 მარტი

**პეტერბურგი.** გუშინ ხელმწიფე იმპერატორთან სადარბაზოდ იყო ისპანიის ელჩი, გრაფი დე ვილაგონზალო და მის იმპერატორებით უდიდებულესობას მიართვა ნიშნები ოქროს ვერძის ორდენისა, რომელიც ისპანიის დედოფალმა გამოუგზავნა დიდს მთავარს ვლადიმირ ალექსანდრეს ძეს. ხელმწიფე იმპერატორმა საკუთარის ხელით ჩამოჰკიდა დიდს მთავარს ნიშნები ოქროს ვერძის ორდენისა. ამ დროს იქვე ბრძანდებოდა ამავე ორდენის კავალერი მემკვიდრე ცესარევიჩი.

Нов. Врем.-ს შეუტყვია, რომ გზათა სამინისტროს შეუმუშავებია რამდენიმე პროექტი წყალის გზების განსაკარგებლად. განზრახვა აქვთ, სხვათა შორის, უმთავრეს წყალის გზებისთვის დააარსონ კომიტეტები; კომიტეტები შესდგება ადგილობრივ მცხოვრებ წევრთაგან, რომელთათვისაც უფრო საჭირო და სასარგებლოა წყალის გზების განკარგება, სახელდობრ: ხე-ტყის ვაჭრებისაგან, გემის პატრონებისაგან და სხვა ვაჭართაგან.

**პარიჟი.** პანამის საქმე: ლესეპსს და ბლონდენს, ზოგიერთ შესაწყნარებელ გარემოებათა გამო, მიუსაჯეს ციხეში დაპატიმრება, ლესეპსს—ერთის წლით და ბლონდენს—ორის წლით; ბაიოს აჰხადეს ღირსება მოქალაქესი და მიუსაჯეს 5 წლით დაპატიმრება და 75,000 ფრანკი ჯარიმა. გარდა ამისა ბაიომ, ბლონდენმა და ლესეპსმა უნდა გადიხადონ ზარალი, რომლის რაოდენობასაც თვით სახელმწიფო გადასწყვეტს და კიდევ 375,000 ფრანკი მისცენ მოშიკურს, რომელმაც პანამის საზოგადოების ანგარიშები უნდა გაასწოროს. დანარჩენნი ბრალდებულნი გაამართლეს.

11 მარტი

**მოსკოვი.** დოსტაქართა ორ ადგილას აღმოაჩინეს, რომ ნ. ა. ალექსეევი ორ ადგილას არის დაჭრილი. ტყვიას ნაწლევში გაუვლია და ვერ უპოვნიათ. ოპერაციამ ორ საათ ნახევარს გასტანა. ოპერაციის დროს შიგნეულობის ანთება შეუმჩნევიათ.

პეტერბურგის ბირჟა, 9 მარტი.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | $7,_{59}$ | $7,_{62}$ | — „ |
| ტამოჟნის კუპონები . | $151^1/_2$ | $152^1/_2$ | — „ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | — „ | $1,_{08}$ | — „ |
| $5^0/_0$ პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | — „ | — „ | $240^3/_4$ |
| —მეორისა . . . . | — „ | — „ | 222 |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . . | — „ | — „ | $195^1/_2$ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| $6^0/_0$. . . . . . . | — „ | 102 | — „ |
| $5^0/_0$. . . . . . . | 100 | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა $6^0/_0$. | — „ | 102 | — „ |
| $5^0/_0$. . . . . . | 100 | — „ | — „ |
| $5^0/_0$ ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | $99^1/_4$ | — „ | — „ |

## გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ

**რკინის გზის მიმოსვლა**

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი 9 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის. . 9 ს. 52 წ. სად.

„ . . . . . „ . 12 ს. 25 წ. შუად.

ტფილისიდგან ბაქოს მიდის 1 ს. 25 წ. შუადღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის „ . . 5 ს. 50 წ. სად.

ტფილისსა და განჯას შუა.

ტფილისიდგან განჯას მიდის . . 9 ს. 20 წ. სად.

განჯიდგან ტფილისს მიდის „ . . 7 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდამ გადის:

ხ უ თ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დღისით 4 საათზე მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკში, კ ვ ი რ ა ო ბ ი თ ღამის 2 საათზე, შორის გზით, შეივლის ფოთსა და ყველა ნავთსადგურში. ს ა მ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დღისით 4 საათზე სოხუმისა და ნოვოროსსიისკით.

ბათუმში მოდის:

ღამის 12 საათზე სწორე გზით ნოვოროსსიისკსა და სოხუმით.

ო თ ხ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დილით სწორე გზით კერჩსა და ნოვოროსსიისკით.

პ ა რ ა ს კ ე ო ბ ი თ: საღამოთი შორის გზით ყველა ნავთსადგურებში შეივლის.

ფოთში მოდის:

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირა დილით, განთიადისას.

პ ა რ ა ს კ ე ო ბ ი თ: საფოსტო და სახალხო ოდესიდგან დღისით.

ს ა მ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დღისით სახალხო და საქონლისა ოდესიდგან.

ხ უ თ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: სახალხო და საქონლისა ბათუმიდგან, დღისით.

ფოთიდგან გადის:

პ ა რ ა ს კ ე ო ბ ი თ: ნაშუადღევის ორ საათზე საფოსტო და სახალხო ოდესაში და ყველა ნავთსადგურში შეივლის, დილის 5 საათზე,

ხ უ თ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: საფოსტო და სახალხო საქმის გათავების შემდეგ ბათუმში სახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშ ბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით, ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეივლის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლ.ასის მოგზაურები მიიღებიან უსაგზლოდაც

ნ ი ხ რ ი

1892 წ. 1 დეკემბრიდგან ახალ განკარგულებამდე.

| | | |
|---|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. | 5 | კ. |
| წითელი „ 1-ის ხარისხ. „ | 4 | „ |
| „ „ 2 „ „ „ | $3^1/_2$ | |
| „ „ 3 „ „ „ | 3 | „ |
| თონ. წით. პურ. 1 ხარ. „ | 5 | კ. |
| „ „ „ 2 „ | 4 | „ |
| „ „ „ 3 „ | $3^1/_2$ | |
| ჯვარის მამის პურის ლავაში. | | |
| 1-ის ხარ. პურ. ლავაშ. 1 გ. | 7 | კ. |
| მე-2 „ „ „ „ | 5 | „ |
| მე-3 „ „ „ „ | 4 | „ |
| ძროხის ხორცი 1-ის ხარისხისა | 7 | კ. |
| სუკი — — — | 12 | „ |
| ცხვრის ხორცი — — | 7 | „ |

# განცხადებანი


მსურს ვიყიდო

მ ა მ უ ლ ი

2,000 დღიურამდე, ბანკის ვალით, ტფილისის ან განჯის გუბერნიაში, ერთი ან ორი ნაჭერი, სახნავი მიწა, ვენახი დ ტყე, უფრო რკინის გზის ახლო: ადრესი: „ლონდონის“ სასტუმრო, კოლესნიკოვს, საღამოს 4 საათიდგან 6-მდე, ტფილისი. (2—2)

სხვა-და-სხვა მიზეზებისა გამო, ისყიდება იაფ-ფასად რვა **ფურგონი, წყლ..ს საზიდი ბოჩკა და ტელეგა.** ავლაბარი, მარტყოფის ქუჩა № 8. (3—3)

კბილის ექიმი

**ა. ი. ორბელი**

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:

დილით 8-დგან 12 საათამდე.

საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.

**კვირა-უქმე დღეებში**

დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (150—26)

თესლეულობით ვაჭრობა

გ. გ. ლარშესი

მიხეილის ორ-ხიდთა შუა, სახლი ფარსადანოვისა, მაღაზია № 47.

მ ი ვ ი ღ ე

**ახალი თესლეულობა**

ბოსტნეულისა, ყვავილეულისა და ბალახეულისა.

კატალოგი მსურველს უფასოდ გაეგზავნება.

(15—11)

აბრეშუმის თესლეულობა ძმ. პასხალიდებისა

ბრუსსაში (ოსმალეთში)

ცელლიულიარული გრენა (აბრეშუმის ჭიის თესლი) ძმ. პასხალიდებისა, როგორც კავკასიის ბევრმა აბრეშუმის მწარმოებელმა უწყის, ეს თესლი დიდად საღია და თითო მისხალი 35 გირვანქამდე შეუმუშავებელ თეთრს პარკს იძლევა. ისყიდება კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოებაში, ოთხ-კუთხის ყუთებით და თითო ყუთში $7^1/_2$ მისხალი თესლია; თითო მისხალი ჰღირს 75 კაპ. ვისაც ბლომად ჰსურს აბრეშუმის ჭიის თესლის ყიდვა, შეუძლიან მიჰმართოს ტფილისში, სასახლის ქუჩაზე, არწრუნისეულ ქარვასლაში, № 128, ზაქათალაში—ძმ. პასხალიდების კანტორას.

(12—9)

„სიჭაბუკის ცოდვა“

ფრიად კარგი და გამოსაყენებელი წიგნია იმათთვის, ვინც დასნეულებული და დაავადებულია ონანიზმითა და თავაშვებულის ცხოვრებით.

**თხზ. დ—რის ლორენცისა.**

რუსულად გამოცემული დ—რ გ—ლის მიერ.

ფასი ერთი მანათი.

ამ სასარგებლო წიგნში ბევრი საშუალებაა დასახელებული ზემოხსენებულ მანკის შედეგის ასაცილებლად და დასნეულებულის ჯანისა და ღონის დონეზედ დასაყენებლად.

წიგნი ნება-დართულია მოსკოვის საცენზურო კომიტეტის მიერ.

საწყობი იმყოფება ოტტო ასპერგერთან ლეიპციგს Otto Asperger Leipzig(საქსონიას). უცო-ქვეყნელნი წიგნის გაგზავნის ფასს იხდიან.

(36—23)

**ნუ ყიდულობთ** ოლეო-ვაზელინის საპონს **როიალ-კონგო** რომელსაც გასაფრთხილებელი ნიშნები არა ჰქონდეს გამომგონებისაგან

ე. ბოდლო და კº საგან

გაუფრთხილდით ყალბ საპონს!




გაუფრთხილდით ყალბ საპონს!

ჩვენ იძულებულ ვართ თითოეულ ნაჭერს ოლეო-ვაზელინის „როიალ-კონგოს“ საპონს გასაფრთხილებელი ნიშნები გაუკეთოთ, რადგან აღმოჩნდნენ ისეთნი, რომელნიც აკეთებენ ჩვენის საპნის მიმსგავსებულს ეტიკეტითაც და სხვაფრივაც.

ე. ბოდლო და კº

ადრესი: Москва, 3-я Мѣщнская, д. № 49. магазинъ: китайскій проѣздъ, д. Хлудовыхъ. (12—3)

მ ე ქ ა რ ხ ნ ე ე ბ ი

ს ა ვ ა ჭ რ ო ს ა ხ ლ ი

**ბენდერ-სტეფანოვი**

**ტფილისის განყოფილება** სოლოლაკ. ქ. სახ. აღაბაბოვისა.

**ისყიდება ყოველ-გვარი ახალ-მოდის ნაწარმოები სარფინკისა, საკუთარ ქარხანაში დამზადებული:**

სხვა-და-სხვა ნაირი არშიანი და ახალ მოდის სარფინკები.

ჩესუჩა ტანთსაცმელისათვის.

სარფინკის ტანისამოსი ყუთებით საჩუქრად.

ცხვირსახოცები და თავმოსახვევები.

ნაქსოვი საშემოდგომო იუბკები არშიით.

სარფინკის ფერადი ძაფები ნაძახი ჩულქების საქსოვად.

მზა-მზარეული სარფინკის ტანისამოსი.

პერანგები კაცისა:

„ფანტაზია“ და გახამებული პერანგები.

საცვლები მანდილოსნებისათვის:

პერანგები, კოფთები და კალსონები.

ჩულქები და წინდები სარფინკის ძაფისა.

ქარხნის ფასად, იაფად. (35—7)




**VÉRITABLE BÉNÉDICTINE**

(ნამდვილი ლიკიორი ბენიდიქტნი)

Fécamp-ის სააბატოსი (საფრანგეთში)

საუცხოო, ადამიანის მომღონიერებელი, საჭმლის მონელების ხელ-შემწყობი და მადის აღმძვრელი.

უველაზედ საუკეთესო ლიკიორთა შორის

VÉRITABLE LIQUEUR BÉNÉDICTINE
Marques déposées en France et à l'Étranger
A. Legrand aîné

ყოველთვის მოითხოვეთ, რომ ოთხ-კუთხი იარლიკი ჰქონდეს დაკრული ბოთლს ქვემოდგან, უფროსის დირექტორის მიერ ხელ-მოწერილი.

**ი ყ ი დ ე ბ ა** საუკეთესო გასტრონიმიის მაღაზიებში დ ყოველ ქალაქის უმთავრესს ღვინის საწყობებში.

რუსეთის სავაჭრო და საკომისიო ბანკი

(**ძირის ფული 1.000,000 მან.**)

ისყიდება $5^0/_0$-იანი **მომგებიანი ბილეთები** I, II, და III სესხისა თითეში **ხუთ-ხუთ მანათის** გარდახდით. მსურველთ შეუძლიანთ მეტმეტიც იხადონ თთვე-და-თთვე.

ბეთ უნდა იქმნას წარმოდგენილი არა ნაკლებ **15 მანათისა.**

კუპონები სრული საკუთრებაა მყიდველისა. ბეის წარდგენის შემდეგ მოგება მყიდველისაა.

დაზღვევა ბილეთისა **65 კაპ.**

სააგენტო იმყოფება ველიამინის ქუჩაზედ, № 7, ლიაა 9 საათიდამ 2 საათამდე.

(50—7) აგენტი დ. ქ. თუთაევი.



Доз. ценз. Тифлисъ, 11-го Марта 1893 г. სტამბა მ. შარაძისა. რედაქტორ-გამომცემელი **ილია ჭავჭავაძე.**